თელასი

ტექნიკური პირობა

სამუშაოს დაკვეთის ნომერი	MCNS-12/8388/25	11.12.2025	აბონენტის ბარათის ნომერი	გასახსნელია აბ №7577990
დამკვეთის სახელი გვარი	მოქალაქე ნინო პეტრიაშვილი. შ.პ.ს. „ტერმინალ სასაწყობო მეურნეობა" ს/ნ 01030048078. (მესაკუთრე)			
		სიმძლავრით 3000 კვტ 10კვ (500კვტ მიკრო სიმძლავრე)		
ობიექტის მისამართი, სადაც უნდა შესრულდეს სამონტაჟო სამუშაოები		სამგორის რ-ნი. დიდი ლილო. რეესტრის №01.19.29.003.011		
		599614455		

ობიექტზე ელ.სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ისე, როგორც მითითებულია ქვემოთ და თანდართულ დამატებით ფურცლებზე.

1. მშენებარე კორპუსის ელექტრომომარაგება განხორციელდეს შემდეგი ტექნიკური პირობის საფუძველზე:

1.1. ს.ს. „თელასი"-ს მიერ აბონენტისაგან გადმოსაცემ მიწის ფართზე დამონტაჟდეს სათანადო სიმძლავრის ქალაქის ტიპის კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგური.
ქ.კ.ს.ქ დამონტაჟდეს მიწის ზედაპირიდან ამაღლებულ ბეტონის საძირკველზე, გაუკეთდეს დამიწება და მოეწყოს დამიწების კონტური. წინაღობა არ უნდა აღემატებოდეს 4 ომს. საჭიროების შემთხვევაში ქვესადგურს შეუსრულდეს ბადური შემოღობვა.
1.2. ობიექტის წითელ ხაზებთან დამონტაჟდეს სტანდარტი 1 აღრიცხვის კვანძი რევერსული მრიცხველით, დენის ტრანსფორმატორებით 200/5 ამპერზე. კარადა დამიწდეს.
1.3. ქვესაგურ „ლილო-3"-ის 10კვ II სექციაზე დამონტაჟდეს მაღალი ძაბვის უჯრედი, საიდანაც სტანდარტ 1-მდე ჩაიდოს მიწაში სათანადო კვეთის და მარკის მაღალი ძაბვის ლაბელი. მოეწყოს საბალანსო აღრიცხვის კვანძი რევერსული მრიცხველით, დენის ტრანსფორმატორებით 600/5 ამპერზე. კარადა დამიწდეს.

2. დამკვეთის მიერ ობიექტზე დამონტაჟდეს სათანადო ამპერაჟის შემყვან გამანაწილებელი კარადები და დამიწდეს.
2.1. ახალი ქალაქის ტიპის კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან ობიექტამდე გაყვანილი იქნას სათანადო სიგრძის, კვეთის და რაოდენობის დაბალი ძაბვის კაბელები.

დამკვეთის მიერ მომზადდეს პროექტი და შეთანხმდეს ს.ს. „თელასი"-ს შესაბამის სამსახურთან. ზემოთ აღნიშნული სამუშაოები შესრულდეს ტექნიკური პირობის გათვალისწინებით დამუშავებული პროექტის მშესაბამისად "ПУЭ"-ეს წესების დაცვით.
მესაკუთრის რეკვიზიტები: ს/კ 402214331. ს/ს "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE 22 ანგ № GE03BG0000000534273652. აბონენტი დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული არის.

ს.ს. "თელასი"-ს ტექნიკური დირექტირის მოვალეობის შემსრულებელი: /ზვიად ვაშაკიძე/

ს.ს. თელასი
ДЛЯ ТЕХНИЧЕСКИХ УСЛОВИЙ
202052580
ტექნიკური პირობებისათვის

დანართი N2

დამტკიცებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 29 ივნისის N30/5 გადაწყვეტილებით

ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულება

1. მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები:	**დასახელება**	შპს ,,თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია''
	ს/კ	406312690
	საბანკო რეკვიზიტები	GE40 BS00 0000 0005 7367 02
	ქოლცენტრის ნომერი	+995 32 5 000 777
	ელ.ფოსტა	info@telmico.ge
	ვებგვერდი	www.telmico.ge
მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები:	**სახელი გვარი/დასახელება**	**შპს ტერმინალ_სასაწყობე მეურნეობა**
	პირადი N/ს/კ	402214331
	აბონენტის N	
	იურიდიული მისამართი	სანთლის შესახვევი, N 10
	ფაქტობრივი მისამართი	სანთლის შესახვევი, N 10
	მიწოდების მისამართი	**თბილისი, დიდი ლილო**
	უძრავი ქონების (მიწოდების მისამართი) ფლობის საფუძველი	☒ **საკუთრება** ☐ **დროებითი მფლობელობა**
	საბანკო რეკვიზიტები	GE03BG0000000534273652
	ტელეფონის ნომერი	**599 61 44 55**
	ელ.ფოსტა	**iTerminal123@Gmail.com**
	მომხმარებლის კატეგორია:	☐ **საყოფაცხოვრებო** ☒ **არასაყოფაცხოვრებო**
ალტერნატიული საკონტაქტო პირის მონაცემები *(ივსება მხოლოდ მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში)*	**სახელი, გვარი/დასახელება:**	
	პირადი N/ს/კ	
	მისამართი	
	ტელეფონის ნომერი	
	ელ.ფოსტა	
მომსახურების საფასურის გადახდაზე პასუხისმგებელი პირი *(ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს პირი არ არის მომხმარებელი, ამასთან წინასწარ წერილობით გამოხატავს თანხმობას მომსახურების საფასურის გადახდაზე)*	**სახელი, გვარი/დასახელება:**	
	პირადი N/ს/კ	
	მისამართი	
	ტელეფონის ნომერი	
	ელ.ფოსტა	

მიწოდების დაწყების თარიღი:	----------აბონენტად რეგისტრაციის დღიდან----------		
ხელშეკრულების მოქმედების ვადა: *(ივსება მხოლოდ:* *ა) უძრავი ქონების დროებით ფლობის შემთხვევაში;* *ბ) თუ მომხმარებელი ითხოვს მიწოდების ხელშეკრულების დადებას მიმწოდებლის ავტორიზაციის ვადაზე უფრო მცირე ვადით*			
მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება:	მატერიალური ფორმით, მისამართზე: _____	ელექტრონული ფორმით, შემდეგ მისამართზე: _____	SMS ნომერზე: 599 61 44 55 _____
მიწოდების ხელშეკრულება მოქმედებს:	მომხმარებლის მიერ სტანდარტულ პირობებთან მიერთებიდან (მიმწოდებელთან რეგისტრაციის დღიდან)	_____ავტორიზაციის ვადით	
დანართები:	☐ პირადობის მოწმობის ასლი ☒ საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ☐ უძრავი ქონების მესაკუთრის თანხმობა *(უძრავი ქონების დროებით ფლობის შემთხვევაში)* ☐ - კომისიის N30/5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დანართი N5 ☐ - კომისიის N30/5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დანართი N6		

2. ელექტროენერგიის უნივერსალური მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის (მცირე საწარმო)

პრეამბულა
უნივერსალური მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების (შემდგომში - მიწოდების ხელშეკრულება) სტანდარტული პირობები შემუშავებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესების“ (შემდგომში - წესები) მოთხოვნების შესაბამისად.
მიწოდების ხელშეკრულებაში გამოყენებულ ძირითად ტერმინებს აქვს კანონით და კომისიის მიერ გამოცემული (მიღებული) შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

მიწოდების ხელშეკრულებაში დღეებით განსაზღვრული ვადების ათვლისას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არასამუშაო დღეები, ასევე დასვენების დღეები - შაბათი და კვირა, არ იქნება გათვალისწინებული, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.
წესებით დადგენილი პირობები წარმოადგენს მიწოდების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
მუხლი 1. მიწოდების ხელშეკრულების საგანი, მხარეები
1.1. მიწოდების ხელშეკრულების საფუძველზე, მიმწოდებელი უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის ელექტროენერგიის მიწოდებას, ხოლო მომხმარებელი ვალდებულია, გადაიხადოს მომსახურების საფასური და დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, მიწოდების ხელშეკრულებით, გათვალისწინებული პირობები.
1.2. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მომხმარებლის მომსახურება წესების შესაბამისად, მომსახურების ცენტრისა და 24-საათიანი ქოლცენტრის მეშვეობით.
მუხლი 2. მომსახურების პერიოდულობა, წესი და საფასურის გადახდის საშუალებები
2.1. მომხმარებლისთვის მომსახურების საფასურის დარიცხვა ხორციელდება დარიცხვის თითოეულ პერიოდში მიწოდებული ელექტროენერგიის შესაბამისად, რაც აისახება მომხმარებლისათვის გაგზავნილ ქვითარში.
2.2. მომსახურების საფასური მოიცავს საბოლოო მომხმარებლის ტარიფს („ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის N33 დადგენილებით დადგენილი მიწოდების, გადაცემისა და განაწილების ტარიფების ჯამი) და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გადასახადებს, აგრეთვე, შესაბამის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა გადასახდელებს.
2.3. მომხმარებელი უზრუნველყოფს მომსახურების საფასურის გადახდას ქვითარში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს ქვითრის მომზადებიდან 15 კალენდარულ დღეზე ნაკლები.
2.4. ქვითრის მიუღებლობა არ ათავისუფლებს მომხმარებელს მომსახურების საფასურის დადგენილ ვადაში გადახდის ვალდებულებისგან.
2.5. ანგარიშსწორება მხარეებს შორის წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით. იმ კომერციული ორგანიზაციების სრული ჩამონათვალი, რომლებიც იღებენ მომსახურების საფასურის გადახდას, მითითებულია მიმწოდებლის ვებგვერდზე.
2.6. გადახდა მიიჩნევა სრულად, თუ მომსახურების საფასურის სრულ ოდენობას აკლია 2 ან ნაკლები ლარი.
2.7. მომხმარებელს უფლება აქვს, წინასწარ გადაიხადოს მომსახურების საფასური. მომხმარებლის მიერ შეტანილი თანხა, რომელიც აღემატება ქვითარში მითითებულს, აისახება მომხმარებლის ანგარიშზე დადებითი ბალანსის სახით და გაითვალისწინება მიმწოდებლის მიერ მომდევნო პერიოდის (პერიოდების) მომსახურების საფასურის გადახდის ასანაზღაურებლად. მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს ანგარიშზე დადებითი ბალანსის სახით ასახული თანხის დაბრუნება მიმწოდებლის მიერ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.
მუხლი 3. მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეტყობინებების გაგზავნის და ინფორმაციის გაცვლის საშუალებები

3.1. მხარეებს შორის შეტყობინებების გაგზავნა (მათ შორის, ქვითრების მიწოდება) და მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცვლა შეიძლება განხორციელდეს როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით (ელექტრონული ფოსტით) და მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით. შეტყობინების გაგზავნა, მათ შორის, ქვითრების მიწოდება, ხორციელდება მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) გაგზავნის საშუალებით მობილური ტელეფონის ნომერზე, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

3.2. მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად, მატერიალური ფორმით მომზადებული ქვითრის მიწოდება ხორციელდება მიწოდების ხელშეკრულებაში მომხმარებლის მიერ მითითებულ მისამართზე ან მიწოდების მისამართზე. ელექტრონული ქვითრის მიწოდება ხორციელდება ელექტრონული ფოსტის მომხმარებლის მიერ მითითებულ მისამართზე.

3.3. მიმწოდებელს უფლება აქვს, წერილობით მოითხოვოს მომხმარებლისგან ინფორმაცია საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემების განახლების მიზნით, რისთვისაც განსაზღვრავს არანაკლებ 1 (ერთი) თვის ვადას. მიმწოდებელი ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე ინფორმაციის მიწოდებისათვის გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე, გააფრთხილოს მომხმარებელი მოკლე ტექსტური შეტყობინებით. მომხმარებელი ვალდებულია, ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის დაცვით, მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია მიმწოდებელს.

მუხლი 4. მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი გაგრძელების წესი

4.1. მიწოდების ხელშეკრულება მოქმედებს მიმწოდებლის ავტორიზაციის ვადით, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 მაისის N236 დადგენილების შესაბამისად, თუ ამავე ხელშეკრულებით უფრო მცირე ვადა არ არის გათვალისწინებული.

4.2. მიწოდების ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ორი თვით ადრე მიმწოდებელი ატყობინებს მომხმარებელს აღნიშნულის შესახებ. თუ მიწოდების ხელშეკრულება დადებულია სამი თვის ვადით, მიმწოდებელი წინასწარ ატყობინებს მომხმარებელს ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შესახებ, აღნიშნული ვადის ამოწურვამდე გონივრული ვადით ადრე.

4.3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ უნივერსალური მომსახურების მიწოდების ვალდებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაეკისრა შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელ კომპანიას“ და მომხმარებელმა არ შეწყვიტა ხელშეკრულება საცალო ბაზრის წესების შესაბამისად, ხელშეკრულება ჩაითვლება გაგრძელებულად შესაბამისი ვადით.

მუხლი 5. მიმწოდებლის მიერ დეპოზიტის მოთხოვნის უფლების წარმოქმნის გარემოებები

5.1. მიმწოდებელს უფლება აქვს, მოსთხოვოს მომხმარებელს დეპოზიტის წარდგენა შემდეგ შემთხვევებში:

ა) მომხმარებელი დროებით სარგებლობს უძრავი ქონებით ან მისი ნაწილით;

ბ) მომხმარებელმა 12-თვიანი უწყვეტი პერიოდის განმავლობაში სამჯერ ან მეტჯერ ვადაგადაცილებით გადაიხადა მომსახურების საფასური; მომსახურების საფასურის ვადის ორჯერ დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი მომხმარებელს აცნობებს მომსახურების საფასურის გადახდის ვადის მესამედ დარღვევისას ამ ქვეპუნქტის შესაბამისად დეპოზიტის მოთხოვნის უფლების შესაძლო გამოყენების შესახებ;

გ) მომსახურების საფასურის გადაუხდელობისათვის მომხმარებელს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა 5-თვიანი ან მეტი უწყვეტი პერიოდის განმავლობაში; ამ ქვეპუნქტით

გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიწოდების შეწყვეტიდან 3 თვის შემდეგ, მიმწოდებელი მომხმარებელს აცნობებს წინამდებარე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დეპოზიტის მოთხოვნის უფლების შესაძლო გამოყენების შესახებ

დ) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის მოხმარების საშუალო თვიური ღირებულება აღემატება 50 000 ლარს, ამასთან:

დ.ა) მომხმარებელს არ გააჩნია ქონება, რომელიც, დავის წარმოშობის შემთხვევაში, შესაძლებელია, დაექვემდებაროს იძულებით აღსრულებას მიმწოდებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით; ან

დ.ბ) მომხმარებლის საკუთრებაში არსებული ქონება უფლებრივად დატვირთულია, რაც, დავის წარმოშობის შემთხვევაში, ქმნის მიმწოდებლის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ვარაუდის საფუძველს.

5.2. წინამდებარე მუხლის 5.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მიმწოდებელი ქვითარში ასახავს დეპოზიტის დასაბუთებულ მოთხოვნას, შესაბამისი საფუძვლის მითითებით.

5.3. მომხმარებელს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, მიმწოდებლისათვის დეპოზიტის სახით წარდგენილი თანხა შეცვალოს საბანკო გარანტიით ან საბანკო გარანტიის ნაცვლად მიმწოდებელს წარუდგინოს დეპოზიტი.

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს, მომხმარებლის მიერ მომსახურების გადაუხდელი საფასური აინაზღაუროს დეპოზიტით.

5.5. მომხმარებლის მიერ უძრავი ქონების დროებით ფლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია, მომხმარებელს დეპოზიტი მოსთხოვოს მიწოდების დაწყებამდე, საშუალო თვიური მოხმარების პროგნოზის მიხედვით, არსებული დანადგარების წარმადობისა და სეზონურობის გათვალისწინებით, ან მიწოდების დაწყებიდან პირველი დარიცხვის პერიოდის გასვლის შემდეგ, დარიცხული მომსახურების საფასურის ოდენობით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მიწოდების დაწყებიდან 6 თვის შემდეგ, მიმწოდებელი უფლებამოსილია, გაიანგარიშოს დეპოზიტის ოდენობა ბოლო 6 თვის განმავლობაში დარიცხული მომსახურების საფასურის იმ თვეების რაოდენობაზე გაყოფით, რომლის განმავლობაშიც ხორციელდებოდა მოხმარება.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელმა მომხმარებლის მიერ გადაუხდელი მომსახურების საფასური აინაზღაურა წარდგენილი დეპოზიტის მეშვეობით, იგი უფლებამოსილია, მომხმარებელს ხელახლა მოსთხოვოს იმავე ოდენობის დეპოზიტი მომდევნო დარიცხვის პერიოდისთვის მომზადებულ ქვითარში ასახვის გზით. მიმწოდებელი უფლებამოსილია, გადაუხდელი მომსახურების საფასურის ასანაზღაურებლად არ გამოიყენოს მომხმარებლის მიერ წარდგენილი დეპოზიტი და, მომხმარებლის მიერ მომსახურების საფასურის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, მოსთხოვოს სისტემის ოპერატორს ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა წესების 22-ე მუხლის შესაბამისად.

5.7. მიმწოდებელი ვალდებულია, დეპოზიტის წარდგენიდან ყოველი 12-თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, ხელახლა გაიანგარიშოს დეპოზიტის ოდენობა გასული 12 თვის განმავლობაში მომხმარებელზე დარიცხული მომსახურების საფასურის გაყოფით თვეების იმ რაოდენობაზე, რომლის განმავლობაშიც ხორციელდებოდა ელექტროენერგიის მოხმარება. თუ გაანგარიშების შედეგად, მომხმარებელზე დარიცხული მომსახურების საფასურის საშუალო თვიური ოდენობა შემცირებულია, მიმწოდებელი ვალდებულია, შესაბამისად შეამციროს მოთხოვნილი დეპოზიტის ოდენობა და სხვაობა თავდაპირველად მოთხოვნილსა და შემცირებულ ოდენობას შორის, მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად, ასახოს მის ანგარიშზე დადებითი

ბალანსის სახით ან უზრუნველყოს შესაბამისი თანხის მომხმარებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვა; თუ დარიცხული მომსახურების საფასურის საშუალო ოდენობა გაზრდილია – მიმწოდებელი უფლებამოსილია, წესების შესაბამისად, მომხმარებელს მოსთხოვოს გაზრდილი დეპოზიტის წარდგენა.

5.8. მიმწოდებელი ვალდებულია, ამ მუხლის 5.1. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დეპოზიტის წარდგენიდან ყოველი 12-თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, განმეორებით შეაფასოს დეპოზიტის მოთხოვნის მიზანშეწონილობა და, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მომხმარებელს დაუბრუნოს წარდგენილი დეპოზიტი მის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით ან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უარი თქვას მომხმარებლის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებაზე.

5.9. დეპოზიტი 10 დღის ვადაში უნდა დაუბრუნდეს მომხმარებელს ან მიმწოდებელმა უარი უნდა თქვას საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებაზე, თუ:

ა) მიწოდების ხელშეკრულება ვადამდე შეწყდა ან მისი მოქმედების ვადა ამოიწურა და საბოლოო ანგარიშსწორებისას მომხმარებელმა მომსახურების საფასური სრულად დაფარა;

ბ) მომხმარებელი ბოლო 12 თვის განმავლობაში მომსახურების საფასურს იხდიდა წესებით დადგენილ ვადაში – თუ დეპოზიტი მოთხოვნილი იყო ამ მუხლის 5.1 პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით;

გ) აღარ არსებობს დეპოზიტის მოთხოვნის ამ მუხლის 5.1 პუნქტის ,,ა“ ან „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საფუძველი.

მუხლი 6. მიწოდების შეწყვეტა მომხმარებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად

6.1. მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის შესაბამისი ოპერატორისგან მოითხოვოს მომხმარებლისთვის მიწოდების შეწყვეტა, თუ მომხმარებელი, მიმწოდებლის გაფრთხილების მიუხედავად, არ ასრულებს მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მათ შორის მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულებას, გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლის წარმოქმნის მომენტიდან დარიცხვის პერიოდამდე გავიდა სამ წელზე მეტი და რომელიც არ იყო აღიარებული წერილობითი ფორმით ან/და არ არსებობს შეთანხმება მხარეებს შორის ამ ვალდებულების ეტაპობრივი შესრულების შესახებ.

6.2. თუ მომხმარებელი არ გადაიხდის მომსახურების საფასურს ქვითარში მითითებული ვადის დაცვით, მიმწოდებელი ვალდებულია, გადახდის ბოლო ვადის მომდევნო დღეს გააფრთხილოს მომხმარებელი მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით და განუსაზღვროს მას მომსახურების საფასურის გადახდის დამატებითი ვადა, რომელიც არ უნდა იყოს გადახდის ბოლო ვადიდან 1 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

6.3. მიწოდების შეწყვეტა დაუშვებელია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეებში, დასვენების დღეებში – შაბათს და კვირას;

ბ) 18:00 საათიდან 09:00 საათამდე პერიოდში;

გ) თუ მომხმარებელს დარიცხული მომსახურების საფასურის თაობაზე მიმწოდებლისთვის წარდგენილი აქვს პრეტენზია და საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული არ არის შესაბამისი გადაწყვეტილება, გარდა მიმდინარე პერიოდზე დარიცხული მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევისა;

დ) ერთ მიწოდების მისამართზე დარიცხული მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო – მეორე მიწოდების მისამართზე;

ე) კომისიაში სადავო საკითხის განხილვის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მიმდინარე პერიოდზე დარიცხული მომსახურების საფასურის გადახდის პირობით;
ვ) წესებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
ზ) ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

6.4. 6.1. პუნქტში მითითებულის გარდა, მიმწოდებელს უფლება აქვს, უარი უთხრას მომხმარებელს მომსახურების გაწევაზე ან მოსთხოვოს სისტემის ოპერატორს მომხმარებლისათვის მიწოდების შეწყვეტა:
ა) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფორსმაჟორულ ან უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ შემთხვევებში;
ბ) მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის ან მისი ვადამდე შეწყვეტის გამო.

მუხლი 7. პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები (ფორს-მაჟორი)

7.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მოვლენას ან გარემოებას, რომელსაც მხარე სათანადოდ ვერ აკონტროლებს და რომლის თავიდან აცილება, შეჩერება ან გამოსწორება შეუძლებელია, მხარის ყოველგვარი ძალისხმევის მიუხედავად, რომლის შედეგად ან რომლის მიზეზით რომელიმე მხარეს არ შეუძლია შეასრულოს მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები. ფორს-მაჟორული გარემოებები გულისხმობს (მათ შორის, და არა მხოლოდ): სტიქიურ უბედურებებს, ნებისმიერი ხასიათის საომარ მოქმედებებს, ტერორისტულ აქტებს და სხვ.

7.2. არც ერთ მხარეს არ მოეთხოვება მიწოდების ხელშეკრულების შესრულება და არც ერთ მხარეს არ ჩაეთვლება შეუსრულებლობად, თუ რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზი არის ფორს-მაჟორული მოვლენა.

7.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულ შეუსრულებლობაზე, მხოლოდ ამ მუხლის 7.1. პუნქტით გათვალისწინებული მოვლენების მოქმედების პერიოდის განმავლობაში. ასეთ შემთხვევებში, მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადები გაგრძელდება ფორს-მაჟორული მოვლენების მოქმედების პერიოდით.

7.4. ფორს-მაჟორული მოვლენების შემთხვევაში, მხარემ, რომელსაც ეს უშუალოდ ეხება, 5(ხუთი) დღის ვადაში წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ამ მოვლენის შესახებ, შესაბამისი ფაქტების და ცნობების, სავარაუდო შედეგების და მათი ხანგრძლივობის მითითებით, ხოლო შემდეგი თვის განმავლობაში - წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს ფორს-მაჟორულ მოვლენას (დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა). ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის სათანადო დადასტურებად მიჩნეულ უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილება (განცხადება) ან შეტყობინება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

მუხლი 8. მიწოდების ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის უფლება და ამ უფლების განხორციელების პირობები

8.1. მომხმარებელს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს მიწოდების ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, მიწოდების ხელშეკრულების მოშლამდე არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე.

8.2. მიწოდების ხელშეკრულების შეწყვეტის ან მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, მიმწოდებელი, მომხმარებელთან საბოლოო ანგარიშსწორების მიზნით,

ვალდებულია, დარიცხვის საბოლოო პერიოდისთვის მომზადებული ქვითრის მიწოდება უზრუნველყოს არაუგვიანეს 6 კვირის ვადაში მიწოდების ხელშეკრულების შეწყვეტის ან მოქმედების ვადის ამოწურვის მომენტიდან.

მუხლი 9. ქვითრის შესწორება. მომხმარებლის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების წესი

9.1. ქვითარში მომსახურების საფასურის არასწორად მითითების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ინიციატივით ან/და მომხმარებლის მოთხოვნით შეიტანოს შესწორება ქვითარში მიმწოდებლის მიერ შეცდომის გამოვლენის ან/და მომხმარებლის მოთხოვნის მომენტიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

9.2. მომხმარებლის მიერ ზედმეტი თანხის გადახდის შემთხვევაში, არასწორი მითითების შედეგად, მას უფლება აქვს მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი თანხის საკუთარ ანგარიშზე ასახვა, დადებითი ბალანსის სახით, ან მისი დაბრუნება საბანკო ანგარიშზე. მიმწოდებელი ვალდებულია, ზედმეტად გადახდილი თანხა ასახოს შესწორებულ ქვითარში ან უზრუნველყოს თანხის დაბრუნება 10 (ათი) დღის ვადაში მომხმარებლის მიერ მოთხოვნის მომენტიდან.

9.3. მომხმარებლის მიერ გადასახდელი მომსახურების საფასურის ოდენობის ზრდის შემთხვევაში, ქვითრის შესწორების შედეგად, მომსახურების შესწორებულ და გადახდილ საფასურს შორის სხვაობის გადახდის ვადა აითვლება შესწორებული ქვითრის მომზადების დღიდან და გადახდა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

მუხლი 10. მიმწოდებლის მიერ მომხმარებლის პრეტენზიის განხილვა. სადავო საკითხების განხილვის წესი

10.1. მომხმარებელს, პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, უფლება აქვს, წერილობით მიმართოს მიმწოდებელთან არსებულ საპრეტენზიო კომისიას.

10.2. საპრეტენზიო კომისია ვალდებულია, პრეტენზიების განხილვის პროცედურების შესაბამისად, განიხილოს პრეტენზია და პრეტენზიის წარდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში შეატყობინოს მომხმარებელს პრეტენზიის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიმწოდებელი, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს სამი დღისა, უზრუნველყოფს გადაწყვეტილების შესრულებას, ხოლო პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში - ატყობინებს მომხმარებელს, კომისიისათვის, კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველისათვის ან სასამართლოსათვის მიმართვის უფლებამოსილების მითითებით.

10.3. მიმწოდებელი და მომხმარებელი მიმართავენ ყველა შესაძლო ზომას ნებისმიერ დავის ან უთანხმოების მორიგებით დასასრულებლად, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მიწოდების ხელშეკრულებასთან (განმარტებასთან, გამოყენებასთან ან/და შესრულებასთან) დაკავშირებით.

10.4. მომხმარებელს უფლება აქვს, მიმწოდებლის მიერ იმ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რომელიც მას დაკისრებული აქვს წესებით, ან/და საკუთარი უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, კანონის და კომისიის მიერ დამტკიცებული დავების განხილვის წესის შესაბამისად, მიმართოს კომისიას, კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს ან სასამართლოს.

მუხლი 11. ზოგადი დებულებები
11.1. მიწოდების ხელშეკრულების დებულება, რომელიც არ შეესაბამება კანონისა და წესების მოთხოვნებს, მიჩნეულ უნდა იქნეს ბათილად. მიწოდების ხელშეკრულების ნებისმიერი დებულების ბათილობა გავლენას არ ახდენს მისი სხვა დებულებების მოქმედებაზე.
11.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შეცვალოს ამ ხელშეკრულების პირობები, რის შესახებაც არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე უნდა შეატყობინოს მომხმარებელს.
11.3. ერთი თვის განმავლობაში მიწოდების ხელშეკრულების პირობების ცვლილებაზე მომხმარებლის წერილობითი უარის არარსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულება გრძელდება შეცვლილი პირობებით.
11.4. თუ მიწოდების ხელშეკრულების პირობების ცვლილება გამოწვეულია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებით, მათ შორის, კომისიის მიერ დადგენილი ტარიფის ცვლილებით, მიმწოდებელი ვალდებულია, ამ ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში აცნობოს მომხმარებელს.
ხელმოწერა:
მომხმარებელი: შპს ტერმინალ_სასაწყობე მეურნეობა. დირექტორი: ნინო პეტრიაშვილი

40221431
TERMINAL WAREHOUSING FARM LLC